

ახლა ვისაუბროთ მის ფსიქოლოგიურ მემკვიდრეობაზე. დიმიტრი უზნაძე გახლავთ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ასევე, მისი მემკვიდრეობა არის მსოფლიო მეცნიერების მონაპოვარი. მაგ: 1944 წელს ჟან პიაჟემ, შვეიცარიელმა მეცნიერმა გამოსცა ნაშრომი, სადაც გამოიყენა ტერმინი „უზნაძის ეფექტი“, ამ ტერმინით მან ილუზია აღწერა, რომელიც ვირტუალურ სფეროში აღმოცენდება. ასევე, მისმა კოლეგამ, ჟან ფრესმამ, ერთ-ერთ კონგრესზე, 60-იან წლებში ხაზი გაუსვა უზნაძის მნიშვნელობას და ა.შ.

1940 წელს გამოიცა ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, რომელშიც უზნაძემ თავისი ძირითადი იდეები გადმოსცა. მას ეს წიგნი თავებად აქვს დაყოფილი, ემოციის თავი აქვს ცალკე, რომელიც წინ უსწრებს ქცევის თავს. მისთვის ემოცია არის ქცევის განმაპირობებელი. ასეთი თანმიმდევრობით სახელმძღვანელოებში თავებს ვერ შეხვდებით. პირველი, ეს ნაშრომი შედგება, როგორც ფილოსოფიური, ასევე ფსიქოლოგიური იდეებისაგან და ეს უნდა განვაცალკევოთ. მან განათლება ჯერ ფილოსოფიაში მიიღო და შემდეგ გადავიდა ფსიქოლოგიაზე. ფსიქოლოგია თავიდან ფილოსოფიიდან აღმოცენდა, ასევე იყო სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, ფსიქოლოგია ფილოსოფიის ფაკულტეტს ეკუთვნოდა. ადრე ფილოსოფია და ფსიქოლოგია ჰუმანიტარულ სფეროს ეკუთვნოდა. ფსიქოლოგია არის სოციალური მეცნიერება, როგორც სოციოლოგია, პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები და ა.შ. ფსიქოლოგიას ჰუმანიტარული მეცნიერებისაგან განასხვავებს ის, რომ ფსიქოლოგია დამყარებულია ექსპერიმენტზე. ექსპერიმენტი არის წამყვანი კვლევის მეთოდი ფსიქოლოგიაში. როგორც აღვნიშნე, ვილჰელმ ვულფტი გახლავთ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებელი, მისი მონაწილე იყო უზნაძე. სწორედ ამ გზას გაჰყვა უზნაძეც. დღეისათვის ექსპერიმენტული მეთოდი არის მაგისტრალური, წამყვანი მეთოდი, ძირითადი დასკვნები და მიგნებები ფსიქოლოგიაში, სწორედ, ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენებით ხდება. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისათვის მნიშვნელოვანია ცდის პირი, ცვლადი და ა.შ. ახლა უნდა ვისაუბრო ცვლადის შესახებ, რადგან, ეს ცნება განწყობს თეორიის ასახსნელად დამჭირდება.

ცვლადი თვითონ სიტყვიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ნიშნავს ყველაფერს, რაც იცვლება. მაგალითად, სიმაღლე, ყველას სხვადასხვა სიმაღლე აქვს, ან სიჩქარე. ყველაფერს თავისი და განსხვავებული სიჩქარე აქვს. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიას ის ცვლადები აინტერესებს, რომელიც მისი კვლევის საგანში შედის, მაგ.: ემოციის შესახებ, ადამიანის განვითარების შესახებ, განვითარების ეტაპების აღწერით სხვადასხვა ფაზების, კოგნიტური პროცესის აღმწერი ცვლადები. კოგნიტური პროცესებია მაგ. ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და ა.შ.

ფსიქოლოგებისთვის მნიშვნელოვანი არამარტო ამ ცვლადების აღწერაა, არამედ ჩვენ ვსწავლობთ თუ როგორ ფუნქციონირებს ეს ცვლადები. მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, დავინახოთ სხვადასხვა ცვლადს შორის კავშირი და აღვწეროთ და ვაჩვენოთ ეს კავშირები. მაგ.: თუ თქვენ ტექსტში შეხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს ხანმოკლე მეხსიერება და ის ასეთი და ასეთია, ეს იქნება ერთი ცვლადის აღწერა. მაგრამ, თუ თქვენ შეხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ადამიანის ემოცია ზემოქმედებს მის ხანმოკლე მეხსიერებაზე, ეს უკვე იქნება ინფორმაცია ცვლადებს შორის

კავშირის შესახებ. ერთი ცვლადი იქნება ემოცია, მეორე - მეხსიერება. ჩვენ ვამბობთ, რომ მათ შორის არათუ მხოლოდ კავშირია, არამედ მიზეზ-შედეგობრივიც. ემოცია იწვევს მეხსიერებას. მეცნიერულ ენაზე მათ ჰქვია დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადი. ემოცია, ის, რომელიც ზემოქმედებს მეხსიერებაზე, გახლავთ დამოუკიდებელი ცვლადი და მეხსიერება, რომელზეც ზემოქმედებს ემოცია - დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიაში მრავალი ექსპერიმენტი ჩატარებული, მაგალითისათვის მინდა მოგიყვანოთ ერთ-ერთი კლასიკური ექსპერიმენტი, რომელიც ჩაატარა სოლომონ ახმა დაახლოებით 100 წლის წინ. ეს გახლავთ ექსპერიმენტი კონფორმიზმის შესახებ. ეს საკმაოდ საინტერესო და გავრცელებული ცნებაა. მან ივარაუდა, რომ ადამიანს ახასიათებს და აქვს კონფორმიზმი, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანი იცვლის თავის მოსაზრებას ჯგუფის მოსაზრების მიხედვით. ადამიანი ფიქრობს, რომ ჯგუფისგან მოდის ინფორმაციული ზეწოლა და ის ცდილობს აჰყვეს მას. კერძოდ, რაში მდგომარეობს ეს? ახმა ცდისპირი შეიყვანა ოთახში, სადაც იყვნენ სხვა ცდისპირებიც, რომლებიც წინასწარ იყვნენ შეთანხმებული ახთან. მათ აჩვენა სხვადასხვა სივრცის სამი ხაზი. შემდეგ ის მათ ცალკე აჩვენებს კიდევ ერთ ხაზს და ეკითხება: მითხარით, ამ სამი ხაზიდან, რომლის ტოლია ის ერთი ხაზი? თავიდან ყველა სწორ პასუხს ამბობს, მაგრამ შემდეგ, ახთან შეთანხმებული ცდის პირები ასახელებენ არასწორ პასუხებს, ასახელებენ ამკარად მცდარ წრფეს, როგორც სწორ პასუხს. „ნამდვილ“ ცდისპირს ეს პასუხები უკვირს, მაგრამ ყველა სხვებს და ისიც არასწორ პასუხს ასახელებს, რა თქმა უნდა, ყველა ასეთი არ არის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ბევრი ადამიანია ასეთი. ეს კვლევა თავდაპირველად 20-იან წლებში ჩატარდა, შემდეგ ბევრჯერ გაიმეორეს და მუდამ იგივე შედეგებით. საუბარია იმაზე, რომ კონფორმიზმი არის დამოკიდებული ცვლადი, რომელზეც მოქმედებს ჯგუფის ზეწოლა, ანუ დამოუკიდებელი ცვლადი. თუ სხვები ამ პასუხს გამოთქვამენ, მეც იმავეს ვამბობ, ვინაიდან მეც მინდა, ვიყო მეც ჯგუფის წევრი.

უზნადის განწყობის თეორია, სწორედ, ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე ამტკიცებს, რომ ადამიანს ახასიათებს გარკვეული მდგომარეობა, რომელსაც მან განწყობა უწოდა. ეს გახლავთ მდგომარეობა, რომელიც არის მზაობა ქცევისადმი. ექსპერიმენტების დახმარებით უზნადე ცდისპირებს შეუმუშავებდა განწყობას.

განვიხილოთ, როგორი იყო ეს ცდები. მათ უზნადე უწოდებს საგანწყობო ცდებს, საგანწყობო ფაზას, ხოლო როცა მდგომარეობის დემონსტრაცია ხდება, მას უწოდებს კრიტიკულ ფაზას. საგანწყობო ფაზაში ცდისპირებს აწვდიან სხვადასხვა ზომის ბურთს. 2 ბურთია: ერთი - დიდი, მეორე - პატარა. ბურთს ხელი უნდა მოჰკიდონ ცდისპირებმა და თქვან, რომელია უფრო დიდი და რომელი პატარა, ცდები მეორდება რამდენჯერმე, შემდეგ დგება კრიტიკული ფაზა, როდესაც ცდისპირებს აწოდებენ თანაბარი ზომის ბურთებს, სთხოვენ ისინი შეაფასონ და ამ კრიტიკულ ფაზაში ესეც რამდენჯერმე მეორდება და ცდისპირი მცდარად აფასებს ამ ბურთებს, ანუ იქმნება, სწორედ, აღქმის ილუზია. ცდისპირს, ისევ, არათანაბარი ჰგონია ეს ბურთები. ეს გახლავთ უზნადის კლასიკური ექსპერიმენტი, რომლითაც მან განწყობის არსებობა აჩვენა. მან შემდგომ გააგრძელა ეს ექსპერიმენტები

თავის მონაფებთან ერთადაც. აღმოჩნდა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, ვის რამდენი ცდა სჭირდება, რომ ასეთი განწყობა შეუმუშავდეს.

უზნაძემ და მისმა მონაფებმა განიხილეს, თუ როგორ მუშაობს განწყობა სხვადასხვა ტიპის აშლილობებში. მათ შეისწავლეს ეპილეფსიით, შიზოფრენიით დაავადებულთა მდგომარეობა, აქაც ეს კრიტიკული საგანწყობო ფაზები სხვადასხვანაირად უვითარდებოდა და განსხვავებულად მიმდინარეობს. ხოლო შემდგომ, განწყობა ქრება და ამას განწყობის ჩაქრობა უწოდებ. თუმცა, ესეც ინდივიდუალურად ხდება. როგორც გითხარი, საჭიროა ცდების რაღაც რაოდენობა, რომ განწყობა შეუმუშავდეს, თუმცა მისი აზრით, განმეორება განმტკიცების ფუნქციას ასრულებს. რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არის ლაბორატორიული ექსპერიმენტი, ცხოველებში კი განწყობა მყისიერად აღმოცენდება. ამისათვის საჭიროა ორი პირობა: მოთხოვნილება და სიტუაცია. მაგალითად, თუ ადამიანის მოსწყურდა, ესაა მოთხოვნილება და თუ სადმე არის წყალი, ეს იქნება სიტუაცია და ეს გამოიწვევს განწყობას. განწყობა კი, თავის მხრივ, ქცევის მზაობაა, ანუ განწყობა უბიძგებს ქცევას. უზნაძის მიხედვით, ქცევა ვერ განხორციელდება თუ მას წინ არ უსწრებს განწყობა. აქ შემოდის მისი ფილოსოფიური მსჯელობაც, როდესაც ის ფილოსოფიურ მიმდინარეობებს იხილავს, კერძოდ, ორ მოდელს: ვიტალისტური და მექანიცისტური. მექანიცისტური ამბობს, იმისათვის, რომ ქცევა განხორციელდეს, საჭიროა გარემო ანუ სიტუაცია, ხოლო ვიტალისტური ამბობს, რომ ქცევის განსახორციელებლად საჭიროა თვითონ ადამიანი, ანუ მოთხოვნილება. ორივე ეს მოდელი გახლავთ ორცვლადიანი, გარემო - ქცევა, ორგანიზმი - ქცევა. უზნაძის სტრუქტურა კი სამცვლადიანია: გარემო, ორგანიზმი, ქცევა. იმისათვის, რომ ქცევა განხორციელდეს, საჭიროა სამივე. ხაზგასასმელია ესეც, რადგან იმ დროისათვის კვლევები ძირითადად ორ ცვლადს სწავლობდა. რატომ იყო კვლევები ორი ცვლადით შემოფარგლული? რადგან ვერ ხერხდებოდა ინფორმაციის დამუშავება. ამჟამად ჩვენ უამრავცვლადიანი მოდელების დამუშავება შეგვიძლია სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამით. იმ დროს ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო და ესეც სიახლეა, როდესაც უზნაძემ შემოიტანა მესამე ცვლადი. 4 ცვლადიც კი გვაქვს: მოთხოვნილება და სიტუაცია ორი ცვლადი, შემდეგ ესენი ზემოქმედებენ და აწარმოებენ განწყობას (მესამე) და განწყობა, თავის მხრივ, წარმოქმნის ქცევას (ესეც მეოთხე). თუ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ტერმინებს მოვიხსენიებთ, გამოვა, რომ მოთხოვნილება და სიტუაცია არის 2 დამოუკიდებელი ცვლადი, ქცევა არის დამოკიდებული ცვლადი და განწყობა არის გამაშუალებელი ანუ მედიაციური, შუალედური ცვლადი. ამრიგად, ეს მოდელი ძალიან ახალი და აქტუალური მოდელია. ეს თეორია არის საინტერესო თეორია, რომელიც გვეუბნება, როგორ ახორციელებს ადამიანი ქცევას, რა თქმა უნდა, ეს თემა ფიზიოლოგებსაც აინტერესებთ, მაგრამ უზნაძის მოდელი არის სუფთა ფსიქოლოგიური. მისი წვლილი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გავიხსენებთ, რა პერიოდში მოღვაწეობდა ის და რა პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა.

დიმიტრი უზნაძის ღვაწლია ფსიქოლოგიის კათედრა, რომელიც უნივერსიტეტში შეიქმნა, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, მან აღზარდა შესანიშნავ მონაფეთა არაერთი თაობა. ბევრმა გააგრძელა კვლევა მის თეორიაზეც და გაამდიდრა ის. ასევე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ,

რომ იმ დროს არ არსებობდა ბევრი მაკრო დონის თეორია და ამით ახლაც არ ვართ განებივრებულები., თეორიები ძირითადად მიკრო დონისაა. უზნაძე კი საუბრობს იმაზე, თუ რა არის ქცევის მიზეზი, ამიტომ არის მაკრო დონის თეორია ფართო მასშტაბის თეორია ფსიქოლოგიაში და, ამის გამო, ორმაგად დასაფასებელია. 1966 წელს აშშ-ში გამოვიდა ინგლისურ ენაზე მისი განწყობის თეორიის წიგნი და ამერიკელი ფსიქოლოგი, ო'კონორი წერდა, რომ საბჭოთა ფსიქოლოგია წარმოდგენილია ვიგოტსკისა და დიმიტრი უზნაძის სკოლის სახით. აქაც ჩანს მისი ღვაწლის მნიშვნელობა იმ დროს. მისი მოწაფეები შემდეგშიც აგრძელებენ მოღვაწეობას უზნაძის განწყობის თეორიაში.